საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 305

24 09 2013 წ.

ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მაგისტრანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით წარმოსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმის რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის №768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროს ნინო წერეთლის 2013 წლის 23 სექტემბრის №404944 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მაგისტრანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით წარმოსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმის რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის №768 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) მაგისტრანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით წარმოსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: მაგისტრანტის პირად ნომერს; სახელსა და გვარს; დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე, წელი); სქესს; მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას (საქართველო, უცხო ქვეყანა (ქვეყანა), ორმაგი მოქალაქეობა); მისამართს (ქვეყანა, ქალაქი, მუნიციპალიტეტი, ფაქტობრივი

საცხოვრებელი ადგილი, ბინის ნომერი); მაგისტრანტის ტელეფონის ნომერს; ჩარიცხვის საფუძველს (საერთო სამაგისტრო გამოცდა/საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით); სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებულ ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო კოდს; მაგისტრანტის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის შესახებ ინფორმაციას; სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შესახებ ინფორმაციას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით მაგისტრანტის ჩარიცხვის თარიღსა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომერს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებასა და უნიკალურ ხუთნიშნა კოდს; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) დასახელებას და კოდს; იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც ჩაირიცხა მაგისტრანტი, კოდსა და ინფორმაციას აკრედიტაციის შესახებ; მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებასა და კოდს; იმ დარგის/მიმართულების დასახელებას, რომელსაც მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამა და მის კოდს; სწავლების ენასა და საფასურის ოდენობას; იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებას, რომელშიც მაგისტრანტს მიენიჭა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; მაგისტრატურის წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების თარიღის, მიღებული დიპლომის ნომრისა და დიპლომის გაცემის თარიღის შესახებ ინფორმაციას.''

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახურს) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — სალომე შელია

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ASSESSMENT
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566